

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15

2019 წლის 4 ივნისი

ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 19/12/2018, 190020020.35.143.016537) დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ზურაბ ნოზაძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	მათ შორის		2019 წლის გეგმა	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 373,0	15 172.3	2 962.8	12 209.5	20 769,1	6 188,3	14 580,8
გადასახადები	3 083,5	3 373.7	0.0	3 373.7	11 863,5	0.0	11 863,5
გრანტები	10 451,8	10 429.3	2 962.8	7 466.4	7 388,0	6 188,3	1 199,7
სხვა შემოსავლები	1 837,7	1 369.3	0.0	1 369.3	1 517.6	0.0	1 517.6
ხარჯები	8 793,5	9 425.6	0.0	9 425.6	10 685,4	137,5	10 547.9



შრომის ანაზღაურება	1 596,0	1 860.8	0.0	1 860.8	1 915,5	0.0	1 915,5
საქონელი და მომსახურება	963,7	1 108.9	0.0	1 108.9	1 285.2	0.0	1 285.2
პროცენტი	0.0	89.0	0.0	89.0	76,0	0.0	76,0
სუბსიდიები	4 687,7	5 150.4	0.0	5 150.4	5 670.9	0.0	5 670.9
გრანტები	18,3	19.8	0.0	19.8	23.0	0.0	23.0
სოციალური უზრუნველყოფა	794,4	857.2	0.0	857.2	826,4	0.0	826,4
სხვა ხარჯები	733,4	339.5	0.0	339.5	888,3	137,5	750.9
საოპერაციო სალდო	6 579,5	5 746.7	2 962.8	2 783.8	10 083.7	6 050,9	4 032.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 859,6	5 826.1	3 892.4	1 933.7	11 792,7	7 074,0	4 718,7
ზრდა	6 958,9	6 390.2	3 892.4	2 497.8	12 092,7	7 074,0	5 018,7
კლება	99,4	564.1	0.0	564.1	300.0	0.0	300.0
მთლიანი სალდო	-280,1	-79.4	-929.5	850.1	-1 709,0	-1 023,1	-685,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-546,1	-82.1	-929.5	847.4	-1 763,0	-1 023,1	-739,9
ზრდა	382,0	847.4	0.0	847.4	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	382,0	847.4	0.0	847.4	0.0	0.0	0.0
კლება	928,1	929.5	929.5	0,0	1 763,0	1 023,1	739,9
ვალუტა და დეპოზიტები	928,1	929.5	929.5	0,0	1 763,0	1 023,1	739,9
ვალდებულებების ცვლილება	-266,0	-2,7	0,0	-2,7	-54,0	0.0	-54,0
კლება	266,0	2,7	0,0	2,7	54,0	0.0	54,0
საშინაო	266,0	2,7	0,0	2,7	54,0	0.0	54,0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის	2018 წლის ფაქტი		2019 წლის გეგმა	
	ფაქტი	მათ შორის		მათ შორის	
		წლიური		წლიური	



		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 472,4	15 736.4	2 962.8	12 773.6	21 069,1	6 188,3	14 88,8
შემოსავლები	15 373,0	15 172.3	2 962.8	12 209.5	20 769,1	6 188,3	14 580,8
არაფინანსური აქტივების კლება	99,4	564.1	0,0	564.1	300.0	0,0	300.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	16 018,5	15 818.5	3 892.4	11 926.2	22 832,1	7 211,5	15 620,7
ხარჯები	8 793,5	9 425.6	0.0	9 425.6	10 685,4	137,5	10 547.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 958,9	6 390.2	3 892.4	2 497.8	12 092,7	7 074,0	5 018,7
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	266,0	2,7	0,0	2,7	54,0	0,0	54,0
ნაშთის ცვლილება	-546,1	-82.1	-929.5	847.4	-1 763,0	-1 023,1	-739,9

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 20 769,1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 373,0	15 172.3	2 962.8	12 209.5	20 769,1	6 188,3	14 580,8
გადასახადები	3 083,5	3 373.7	0,0	3 373.7	11 863,5	0,0	11 863,5
გრანტები	10 451,8	10 429.3	2 962.8	7 466.4	7 388,0	6 188,3	1 199,7
სხვა შემოსავლები	1 837,7	1 369.3	0,0	1 369.3	1 517.6	0,0	1 517.6

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 11 863,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3 083,5	3 373.7	0,0	3 373.7	11 863,5	0,0	11 863,5
საშემოსავლო გადასახადი	958,2	897.6	0,0	897.6	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	2 125,3	2 476.2	0,0	2 476.2	2 000,0	0,0	2 000,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 286,7	1 202.6	0,0	1 202.6	1 240.0	0,0	1 240.0



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,3	412.7	0.0	412.7	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	37,2	40.9	0,0	40.9	5,0	0,0	5,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	163,3	172.6	0,0	172.6	165,0	0,0	165,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	631,9	647.4	0,0	647.4	590,0	0,0	590,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	0,0	0.0	0.0	0.0	9 863,5	0.0	9 863,5

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 920,3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	10 451,8	10 429.3	7 388,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 451,8	10 429.3	7 388,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 443,1	7 365,8	225,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 214,1	7 140,8	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	229,0	225,0	225,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 008,7	2 962.8	6 188,3
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	4 728,4	2 962.8	5 344,3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	844,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	280,3	0.0	0.0
სხვა ტრანსფერები	0.0	100,6	974,7

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 517.6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 837,7	1 369.3	1 517.6
შემოსავლები საკუთრებიდან	276,3	225.5	251.1
პროცენტები	15.7	0.0	0,0
დივიდენდები	0,0	0.0	0,0
რენტა	260.6	225.5	251.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	249,4	208.8	241.1
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	11,3	16.7	10,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	512,9	373.9	426,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	483,1	348.9	400,0
სანებართვო მოსაკრებელი	79,2	99.9	50,0
სატენდერო მოსაკრებელი	0,0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,6	1,2	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	231,0	106.2	150.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	171,3	141.6	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	29.8	25.0	26.0
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	29,8	25.0	26,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 008,2	673.6	840,5
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	40,3	96.4	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10 685.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



ხარჯები	8 793,5	9 425.6	0.0	9 425.6	10 685.4	137,5	10 547,9
შრომის ანაზღაურება	1 596,0	1 860.8	0,0	1 860.8	1 915,5	0,0	1 915,5
საქონელი და მომსახურება	963,7	1 108.9	0,0	1 108.9	1 285.2	0,0	1 285.2
პროცენტი	0,0	89.0	0,0	89.0	76,0	0,0	76,0
სუბსიდიები	4 687,7	5 150.4	0,0	5 150.4	5 670,9	0,0	5 670,9
გრანტები	18,3	19.8	0,0	19.8	23,0	0,0	23,0
სოციალური უზრუნველყოფა	794,4	857.2	0,0	857.2	826,4	0,0	826,4
სხვა ხარჯები	733,4	339.5	0.0	339.5	888,3	137,5	750,9

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11 792.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 12 092.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	71,9	17,1	97,2
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,9	1,2	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5785,4	5 759.2	10 276,4
განათლება	735,5	510.7	1 010,6
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	336,7	102.0	608,6
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	26,6	0,0	50,0
ს უ ლ	6 958,9	6 390.2	12 092,7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 300.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	99,4	564.1	300.0
ძირითადი აქტივები	5,6	306,5	0.0
არაწარმოებული აქტივები	93,7	257.6	300.0
მიწა	93,7	257.6	300.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:



ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 140,8	2 394.5	2 718,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 140,8	2 392.9	2 641,3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 140,8	2 392.9	2 616,3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0.0	25,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	1,6	77,6
702	თავდაცვა	110,0	122.2	125,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	0,0	0.0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 890,1	4 484.6	6 980,8
7045	ტრანსპორტი	2 274,3	4 046.9	5 296,6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 274,3	4 046.9	5 296,6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	615,8	437.7	1 684,3
705	გარემოს დაცვა	1 169,6	1 215.0	1 185,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	866,0	924.4	895,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	83,9	36,0	40,5
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0,0	5,1	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	219,7	249.6	250,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 103,5	1 210.6	3 226,9
7061	ბინათმშენებლობა	270,6	8,7	219,5
7063	წყალმომარაგება	359,3	282.7	886,1
7064	გარე განათება	657,3	692.3	670,7
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	816,3	227.0	1 450,7
707	ჯანმრთელობის დაცვა	120,9	94,3	145,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	120,9	94,3	145,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 884,3	3 016..9	4 264,0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 517,6	1 892.2	1 387,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 299,7	1 039.6	2 618,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	67,0	85.2	258,5
709	განათლება	2 263,8	2 262.1	3 060,6



7091	სკოლამდელი აღზრდა	2 253,5	2 262.1	2 050.0
7092	ზოგადი განათლება	0,0	0.0	1 010,6
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0.0	1 010,6
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	10,2	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	1 069,6	1 015.6	1 071,4
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0.0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,0	1,0	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	791,9	800.6	810,4
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	175,4	161.1	196.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	100,3	52.9	63,0
	სულ	15 752,5	15 815.9	22 778,1

მუხლი 10.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1 709,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1 763,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება – 54,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 25,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 225,0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;



ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 125,0 ათასი ლარი;

გ) სარიტუალო მომსახურება 5,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2019-2022 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში, ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე, ხორციელდება მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება გზების მოასფალტება, დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება – რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, აგრეთვე განხორციელდება გზების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა.ა. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის, განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება-რეაბილიტაცია და მოასფალტება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით დაგეგმილია აგრეთვე, ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ, ღობეების მოწყობა, დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში თამარ მეფის I და III ჩიხის მოასფალტება, ასევე სოფლებში გზების მოასფალტება (მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე, ხცისიდან კრისხევამდე და ვაყა), ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

ა.ბ თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების განთავსება.



ბ. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სანიტარიული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია და ბინათმშენებლობა. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ბ.ა. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერგიით უზრუნველყოფას.

ბ.ბ. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება.

ბ.გ. საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დაბა სურამში, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა.

ბ.დ. სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, ქალაქ ხაშურში, განთიადის და დაბა სურამში, მშვიდობის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე გათვალისწინებულია „ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №96 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა, დაგეგმილია გრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

ბ.ე. წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სათავე-ნაგებობების (დაბა სურამში ორხევის, სოფლების ბიჯნისის, წრომის, წაღვლის, ქვიშხეთის) ზედამხედველობისა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაფინანსება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, აგრეთვე, სოფელ ბიჯნისში წყლის სათავე-ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაცია და 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

ბ.ვ. ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია, ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში, ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებით გათვალისწინებულია ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება-რეაბილიტაცია, დაგეგმილია აგრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების



დაფინანსება.

ბ.ზ. უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ხორციელდება ტერიტორიიდან მათი იზოლაცია მოვლა-პატრონობა და თავშესაფარში გადაყვანა.

ბ.თ. ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია.

გ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები.

დ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების, სკვერების და სასაფლაოების მოწყობის, მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ხოლო დღესასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებები, ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია და ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა.

და. მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგავების, სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბელვას, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება.

დ.ბ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია „ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №96 განკარგულებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების მოწყობა -რეაბილიტაციის სამუშაოები, დაგეგმილია აგრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

დ.გ. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა.

დ.დ. ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ხაშურის საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია.

დ.ე. მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა.

დ.ვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში ყაზბეგის ქუჩაზე არსებული სკვერისათვის სანაგვე ურნების შესყიდვა და ხაშურში, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე, სკვერის მოსაწყობად ტერიტორიის შემოღობვა, ასევე დაგეგმილია 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

დ.ზ. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის ხარჯები, დაგეგმილია აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა, დაგეგმილია აგრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

დ.თ. ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სპორტკომპლექსისათვის საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯების დაფინანსება, დაგეგმილია აგრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

დ.ი. ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური-ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა, დაგეგმილია აგრეთვე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 16 საბავშვო ბაღი და სკოლამდელ განათლებას იღებს 2042 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ტეზერი, ბიჯნისი, წაღვი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის №96 განკარგულებით დაგეგმილია სოფელ გომში



საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება.

ბ. საჯარო სკოლების ხელშეწყობა (04 02)

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე 2018 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებების დაფინანსება, კერძოდ დაფინანსდება ქალაქ ხაშურის №7 საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელულად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სასპორტო სკოლა და სპორტული ღონისძიებები.

ა.ა. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-მიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა, სპორტსმენთა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ. სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით, დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-მიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1300 აღსაზრდელი.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:



- 3-8 მარტს, დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
- 9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ვეტერანებზე ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დაწყება-დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- 1 ივნისს- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და ბავშვებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულის “ლესიაობის” ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ქ. ნოვოგრაფ-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის დღესასწაულში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლიტვაში, დამძობილებულ ქალაქ რადვილინსკში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ბელორუსიაში, დამძობილებულ ქალაქ გორკში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლატვიაში, დამძობილებულ ქალაქ ბაუსკაში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- პოლონეთში, დამძობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- შვედეთში, დამძობილებულ ქალაქ ჰედემორაში, ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- თეატრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება;
- ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
- 27 სექტემბერი-აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- სახალხო დღესასწაულის „ხაშურქალაქობა 2019“ ჩატარების ორგანიზება;
- ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები;
- შეხვედრა წარმატებულ ხაშურელებთან და მათი საქმიანობის პოპულარიზაცია;
- საბავშვო-გასართობი შოუ-კონცერტის მოწყობა;
- ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით კონცერტის უზრუნველყოფა;
- 2008 წლის 8 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის, ომის ხსოვნის კვირეულთან დაკავშირებული ღონისძიება;
- 5 ოქტომბერს, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა;
- 17 ოქტომბერს, ვეტერანთა დღესთან დაკავშირებული ღონისძიება;
- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება;
- დ. ყიფიანის სახლმუზეუმის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიება;
- სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემა;

ბ.ბ. სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

